

რეკომენდაცია

გაერთიანების თავისუფლებაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ქალბატონო სოფიკო,

2022 წლის 2 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N1314/22) მომართეს - ქ. ჯ.-მ, ს. ლ.-მა, ნ. ც.-მ და თ. ი., რომლებიც მიუთითებენ, რომ ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეებიდან“ (შემდგომში: „მწვანეები“), განსხვავებული მოსაზრების გამო, ისინი უკანონოდ გარიცხეს.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართეს - ორგანიზაცია „მწვანეების“ სხვა წევრებმაც, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა წევრების არალეგიტიმურ და უსამართლო გარიცხვას; განცხადებას თან ერთვოდა რამდენიმე წევრის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე წერილობითი დოკუმენტები, თუმცა, განცხადებაზე არ ფიქსირდებოდა მათი ხელმოწერა და, შესაბამისად, არ ვლინდებოდა ნება სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლაზე. განმცხადებლებს ეთხოვათ¹ ხელმოწერის ან/და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც სახალხო დამცველის აპარატისთვის არ მოუწოდებიათ. დამატებით, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი შეისწავლის იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, სახალხო დამცველი არ განიხილავს იმ პირთა განცხადებებს, რომლებიც ა(ა)იპ „მწვანეებიდან“ არ გაურიცხავთ და საქმისწარმოების პროცესში არ მოუწოდებიათ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ უფლებებით სარგებლობაში ხელშემშლის თაობაზე.²

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე საქმეში შეფასდება ორგანიზაცია „მწვანეებიდან“ გარიცხულ ოთხ პირს - ქ. ჯ.-ს, ს. ლ.-ს, ნ. ც.-ს და თ. ი.-ს შეეზღუდათ თუ არა გაერთიანების თავისუფლება მათი მხრიდან გამოხატული განსხვავებული შეხედულების გამო.

¹ სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 21 თებერვლის (კორესპონდენციის N 13-4/2092) და 2022 წლის 11 მაისის (კორესპონდენციის N 13-4/4975) წერილები

² „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეებიდან“.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლების პოზიცია

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ 2022 წლის 19 იანვარს, „მწვანეების“ წევრებმა საჯარო განცხადებიდან შეიტყვეს, რომ პოლიტიკური კომიტეტის წევრი - თ. კ. მონაწილეობას იღებდა „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში მომხსენებლად, როგორც ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეების“ კომიტეტის წევრი. ამ ინფორმაციის გავრცელებას წევრთა დიდ ნაწილში აღშფოთება მოჰყვა, რადგან „მწვანეები“, სხვადასხვა მოსაზრებების გამო, აღნიშნულ ორგანიზაციასთან არ თანამშრომლობენ. 19 იანვარს, საღამოს, წევრებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ არ იცოდნენ მათი პოლიტიკური კომიტეტის წევრის აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ და მოითხოვეს, თ. კ.-ს არ მიეღო ღონისძიებაში მონაწილეობა. შეხვედრის დასრულებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, წევრებმა „მწვანეების“ ფეისბუქის დახურულ ჯგუფში გამოთქვეს შეშფოთება და მოელოდნენ, რომ თ. კ.-სთვის პრიორიტეტი წევრთა აზრის გათვალისწინება და არა ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა. განმცხადებელთა განმარტებით, სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, თ. კ.-მა „მწვანეების“ წევრებს *ინტერნალიზებული ჰომოფობები და ელიტისტები* უწოდა.

26 იანვარს განმცხადებლებმა კომიტეტებში დარჩენილ წევრებს (თ. ი.-მა, პროტესტის ნიშნად, 24 იანვარს დატოვა კომიტეტი) თ. კ.-ს, ნ. გ.-ს, ს. შ.-ს და მ. ნ.-ს წერილით მიმართეს და მოითხოვეს თ. კ.-ს გადადგომა. კენჭის ყრას არ ესწრებოდა კომიტეტის სამი წევრიდან ერთი - მ. ნ. ნ. გ.-მა და თ. კ.-მა კენჭი უყარეს განცხადებას და 26 იანვარს ოფიციალურ წერილში განმცხადებლებს აცნობეს, რომ თ. კ. დაკავებული თანამდებობიდან არ გადადგებოდა.

განმცხადებელთა განმარტებით, „მწვანეების“ კომიტეტის ყველა სხდომა წესდების მიხედვით იწერება, თუმცა, წევრების მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, ამ სხდომის ჩანაწერი დღემდე არ მიუღიათ, რაც არის წესდების დარღვევა. პრობლემურია ისიც, რომ თ. კ. ესწრებოდა შეხვედრას მისი გადაყენების შესახებ და, სავარაუდოდ, საკუთარი თავის გადაყენების წინააღმდეგ მისცა ხმა.

განცხადების თანახმად, შექმნილი მდგომარეობისა გამო, 27 იანვარს, კომიტეტის წევრის თანამდებობა მ. ნ.-მაც დატოვა. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ ამის შემდეგ, „მწვანეებში“ დარჩენილი კომიტეტის სამმა წევრმა - თ. კ.-მა, ნ. გ.-მა და ს. შ.-მ თ. კ.-ს გადადგომის მოთხოვნის წერილზე ხელმომწერებთან დაიწყეს პირადი კომუნიკაცია, შეეცადნენ ს. ლ.-ის დისკრედიტაციას და ცდილობდნენ სასურველი განმარტების მიღებას, თითქოს წერილზე ხელმოწერა ს. ლ.-მა და სხვა პირებმა დააძალეს. შედეგად, არც ერთ ხელმომწერს საკუთარი პროტესტი და ხელმოწერა უკან არ გაუწვევია.

განმცხადებლები გამოყოფენ შემდეგ გარემოებებს ხსენებული პირების მიმართ:

1. **თ. ი. -** მას შემდეგ, რაც თ. ი.-მა შეიტყო თ. კ.-ის „თბილისი პრაიდის“ მიერ გამართულ ფორუმში მონაწილეობის შესახებ, 19 იანვარს, წევრთა გაფართოებულ შეხვედრაზე, რომელსაც მოდერაციას უწევდა, აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დაამატა. თ. ი.-ს არ მიეცა საშუალება, საჯაროდ დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, რის გამოც წერილობით შეატყობინა საკუთარი პოზიცია პოლიტიკურ კომიტეტს „კომიტეტი-ოფისის“ ტელეგრამ ჯგუფში. თ. კ.-მა თ. ი. და სხვა წევრები, რომლებიც პრაიდს უპირისპირდებოდნენ ინტერნალიზებულ ჰომოფობიაში დაადანაშაულა, რის გამოც თ. ი.-ს პოლიტიკური კომიტეტის დატოვების სურვილი გაუჩნდა. ს. ლ.-ზე დაწყებულ თავდასხმას და პროტესტის აღნიშნული პირის გარიცხვით ჩაცხრომის მცდელობას მან „მწვანეები-წევრების“ ჯგუფში განცხადებით უპასუხა. განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, 29 იანვარს თ. ი.-ს პოლიტიკურმა კომიტეტმა შეუწყვიტა ორგანიზაციის წევრის სტატუსი. ასევე ზემოაღნიშნული განცხადება, რომელიც შეიცავდა პოლიტიკური კომიტეტის კრიტიკას წაშლილი იქნა დაუდგენელი პირის მიერ.
2. **ნ. ც. -** როგორც საპროტესტო წერილზე ხელმომწერი სხვა ადამიანები, იზიარებს იმ წუხილს, რაც კომიტეტის წევრი - თ. კ.-ს „თბილისი პრაიდთან“ თანამშრომლობას მოჰყვა. ნ. ც.-საც ეცნობა, რომ ორგანიზაცია „მწვანეებიდან“ გარიცხულია.
3. **ქ. ჯ. -** სოციალური ქსელის მეშვეობით შეიტყო, რომ თ. კ., „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე მომხსენებელი იქნებოდა. ამასთან, 19 იანვარს წევრთა შეხვედრაზე ქ. ჯ.მ გამოხატა ინტერესი რატომ ან ვისთან კონსულტაციის საფუძველზე მიიღო თ. კ.-მა ეს გადაწყვეტილება. **26 იანვარს მისი პირადი მეილით გაიგზავნა მოთხოვნა თ. კ.-ის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ**, რადგან მისი ღირებულებები ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ორგანიზაციის დემოკრატიულ პრინციპებს. განცხადებას ხელს აწერდა და ეთანხმებოდა ორგანიზაციის 13 აქტიური წევრი.³ თ. ი.-ს გადადგომის შემდეგ, 28 იანვარს „ახალგაზრდა მწვანეების“ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მწვანეების კომიტეტში თ. ი.-ს ნაცვლად პოზიციას ქ. ჯ. დაიკავებდა. იმავე დღეს, კომიტეტის წევრ - ნ. გ.-ს პირადი მეილიდან „ახალგაზრდა მწვანეების“ ოფიციალურ მეილზე მოვიდა შეტყობინება, რომლის ძირითადი შინაარსი ქ. ჯ.-ს კანდიდატურის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას ემსახურებოდა. ის აღნიშნავს, რომ ქ. ჯ. სრულად იზიარებდა გადამდგარი კომიტეტის წევრ - თ. ი.-ს პოზიციებს, შესაბამისად მისი კანდიდატურა მიუღებელი იყო. **ქ. ჯ. 29 იანვარს ორგანიზაციიდან გარიცხეს.** ქ. ჯ.-ის წევრობის შეწყვეტა არ გამორიცხავს მის კომიტეტის წევრობას „ახალგაზრდა მწვანეების“ წარმომადგენლად. მიუხედავად ამისა, 31 იანვარს ნ. გ. პასუხობს „ახალგაზრდა მწვანეების“ ოფიციალურ წერილს, რომელშიც ის ცალსახად აღნიშნავს, რომ ქ. ჯ.-სთან ერთად მუშაობა არ სურს.
4. **ს. ლ. -** ა(ა)იპ „მწვანეებიდან“ 2022 წლის 27 იანვარს გარიცხეს. ს. ლ.-იც, სხვა განმცხადებლების მსგავსად მოითხოვდა თ. კ.-ს არ მიეღო „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა. განმცხადებლის მოწოდებული

³ შენიშვნა: თ. ი.; ქ. ჯ.; ს. ლ.; ნ. ც.; გ. ბ.; ლ. პ.; გ. რ.; ა. ა.; დ. გ.; თ. ა.; ნ. ა.; თ. ს.; ა. ხ.

ინფორმაციით, ამ პროცესს დაემთხვა პოლიციელის მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე თავდასხმა, რაზეც მან ორგანიზაციას საპროტესტო აქციის გამართვა და განცხადების გავრცელება მოსთხოვა. საპროტესტო აქციის დამეს (25 იანვარს) ფეისბუქის გვერდიდან „მწვანეების“ მიერ მედიისთვის მიცემული ინტერვიუები უნდა გავრცელებულიყო. განმცხადებლის მითითებით, გენერალურმა მდივანმა სოფო შუბითიძემ სოციალური მედიის მენეჯერს - დ. მ.-ს უთხრა, არ განეთავსებინა მისი ინტერვიუ „მწვანეების“ ფეისბუქ გვერდზე. დ. მ.-მა არასამართლიანად მიიჩნია სოფო შუბითიძის დავალება და ინტერვიუ ფეისბუქ გვერდზე განათავსა; თუმცა, გენერალურმა მდივანმა ეს მასალა გვერდიდან თვითნებურად წაშალა.

საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეებს“ მიმართა. მიღებული პასუხები გაეგზავნა⁴ განმცხადებლებს გაცნობისა და მასზე პოზიციის დაფიქსირების მიზნით, თუმცა, განმცხადებლებს სახალხო დამცველის აპარატში მიღებულ მასალასთან დაკავშირებით პოზიცია არ წარმოუდგენიათ.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ განმცხადებლებს, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ეთხოვათ ინფორმაციის მოწოდება შემდეგ საკითხებზე⁵: 1) მიეთითებინათ უფლება/უფლებები, რომლით სარგებლობაში ხელი შეეშალა მ. ნ.-ს და მ. მ.-ს; 2) წარმოედგინათ დ. მ.-ს წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელიც დაადასტურებს სოფიო შუბითიძის მითითებას არ განეთავსებინა ს. ლ.-ის ინტერვიუ „მწვანეების“ ფეისბუქ გვერდზე; 3) დაეზუსტებინათ თ. ი.-მა საკუთარი ინიციატივით დატოვა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეები“ თუ გარიცხეს ორგანიზაციიდან; 4) რა პერიოდით თარიღდება თ. ი.-ს მიერ „მწვანეები წევრების“ ჯგუფში გამოქვეყნებული მოსაზრება; 5) მოეწოდებინათ ნ. გ.-თან მიმოწერის ელექტრონული წერილის ასლი, რომელიც ადასტურებს, რომ მისთვის ქ. ჯ.-ის კანდიდატურა მიუღებელი იყო. განმცხადებლებმა სახალხო დამცველის აპარატში გამოთხოვილი ინფორმაცია არ წარმოადგინეს. განმცხადებლებს შეხსენების წერილიც გაეგზავნათ⁶ და ეთხოვათ, 5 დღის ვადაში წარმოედგინეთ გამოთხოვილი ინფორმაცია, აღნიშნულის მიუხედავად განმცხადებლებს არც ამ შემთხვევაში მოუწოდებიათ სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოთხოვილი ინფორმაცია.

1.2. მოპასუხის პოზიცია

ა(ა)იპ საზოგადოებრივი მოძრაობა „მწვანეების“ 2022 წლის 28 თებერვლის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ქ. ჯ., ს. ლ., ნ. ც. და თ. ი. ორგანიზაციიდან გაირიცხნენ „მწვანეების“ წესდების მე-3 მუხლის 3.9.3 პუნქტის თანახმად, რომელიც ადგენს, რომ თუკი წევრის

⁴ სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 მარტის (კორესპონდენციის N13-4/3030) წერილი

⁵ სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 17 თებერვლის (კორესპონდენციის N 13-4/1978) წერილი

⁶ სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 11 მაისის (კორესპონდენციის N13-4/4974) წერილი

ქმედებები ეწინააღმდეგება ორგანიზაციის პრინციპებს, არღვევს წესდების და შინაგანაწესის მოთხოვნებს და/ან ახდენს მის დისკრედიტაციას წევრი ექვემდებარება გარიცხვას. მოპასუხის განმარტებით, ს. ლ., ქ. ჯ., ნ. ც. და თ. ი. აგრესიული და დესტრუქციული გამოხატვის ფორმებით არღვევდნენ ორგანიზაციის წესდებას, შინაგანაწესს, უფულვებელყოფდნენ მოქალაქისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ს. ლ., ქ. ჯ., ნ. ც. და თ. ი. „მწვანეების“ პოლიტიკური კომიტეტის წევრ - თ. კ.-ს წევრთა საერთო კრებებზე და სოციალურ ქსელებში თავს ესხმოდნენ, ავიწროვებდნენ, რისი მიზანიც თ. კ.-ს გამოხატვისა და არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა იყო - მონაწილეობა არ მიეღო „თბილისის პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე.

მოპასუხის მითითებით, ს. ლ.-ს „მწვანეების“ წევრობის სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 27 იანვარს. ის თავს ესხმოდა და ემუქრებოდა ორგანიზაციის წევრებს, მუქარის შემცველ თავდასხმებს ასევე ადგილი ჰქონდა გენერალური მდივნის მიმართ, კერძოდ, 2021 წლის დეკემბრის თვეში ის გენერალურ მდივანს სოფო შუბითიძეს შეურაცხმყოფელი და ზეწოლის შემცველი ფორმებით მიმართავდა.⁷ „მწვანეების“ რეპუტაციის შელახვის მიზნით, ის მიზანმიმართულად ავრცელებდა ცილისმწამებლურ განცხადებებს; „თბილისის პრაიდის“ ღონისძიებაში მონაწილეობის გამო, ხელს უშლიდა ორგანიზაციის გამგეობის წევრის, თ. კ.-ს თავისუფალი არჩევანის უფლებას და იმუქრებოდა მადისკრიმინირებელი ფრაზეოლოგიით როგორცაა „მოიხსნები პრაიდის ბანერიდან“ და სხვა.⁸ გარდა ამისა, მისი გარიცხვის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა 25 იანვარს, სიტყვიერი შელაპარაკება გამგეობის წევრ - ნ. გ.-თან, აქციის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ონლაინ შეხვედრაზე. შეხვედრაზე იგი გამოირჩეოდა პროვოკაციული ქცევით, გენერალურ მდივანს მიმართავდა აშკარა დამცინავი და გამომწვევი ფორმებით, ყვიროდა და იმუქრებოდა, რომ „პრაიდს არ შეარჩენდა“. მოპასუხე აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრის ჩანაწერი არ არსებობს. მოპასუხის აღნიშვნით, ის ფეისბუქის პირად პროფილზე ახდენდა ორგანიზაციის დისკრედიტაციას, ორგანიზაციის შიგნით ქმნიდა კონფლიქტურ გარემოს და გამოირჩეოდა დესტრუქციული ქმედებებით.⁹ მოპასუხე

⁷ აღნიშნულის დასადასტურებლად მოპასუხემ წარმოადგინა შემდეგი მიმოწერის სქრინები: **სოფო შუბითიძე**: მადლობელი **ს. ლ.**: არ უნდა ძახილის ნიშნები და ეტს, წამოიღეთ ახ. მწვანეების ტექსტი, სტილი დაცული იყოს ისე როგორც ახ. მწვანეები წერენ, copy paste **ს. ლ.**: მასე კოპი პეისტი ბევრჯერ გვიქნია და დიდად არ მუშაობს. we need to have a say; ცოტა გონებას დავატანოთ ძალა. არაუშავს **ს. ლ.**: მგონი სიტყვები შეარჩიო შენთვისვე ჯობია :) **სოფო შუბითიძე**: რას გულისხმობ? **ს. ლ.**: რასაც. გონებას ძალა შენ დაატანე ხოლმე ან იმ ხალხს ელაპარაკე ეგრე ვისთანაც გაგსვლია. აქ მოვრჩეთ. სხვა დროისთვის რომ გაითვალისწინო **სოფო შუბითიძე**: არც ვიხვედრებ, ცდები, ეგ შენ გგონია ეგრე **ს. ლ.**: : **ს. ლ.**: ურთიერთობის ეთიკა გვჭირდება, მე აქამდე ვიცავდი და ყველამ უნდა დავიცვათ. გონებას თავი დავატანოთ და ძალაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფი დაიშლება. რაც არაა საჭირო რო მოხდეს **ს. ლ.**: არ იცავდი და შეგრჩა ბევრი რამე. ეხლა გეცოდინება. ნუ სარგებლობ იმით რომ პანიკას არ ვწევ მაგზე. ვსიო მორჩა აქ. შენთვისვე ტეხავს რომ სხვებიც კითხულობენ. ან მინ. ვლლით და თუ რამე პრობლემა გაქვს იგი სად მნახო ან მომწერო **სოფო შუბითიძე**: ს. არ ვაპირებ შენს ჩემდამი ტოქსიკურობაზე გამომხაურობას. არასდროს :) წარმატებები **ს. ლ.**: პაპა :დ

⁸ აღნიშნულის დასადასტურებლად მოპასუხემ წარმოადგინა ს. ლ.-ის სხდომის გარიცხვის სხდომის ოქმი, თუმცა ოქმში მსგავსი ტიპის ფრაზეოლოგიას „მოიხსნები პრაიდის ბანერიდან“ ვერ ვხვდებით

⁹ აღნიშნულის დასადასტურებლად მოპასუხემ წარმოადგინა სხვადასხვა სქრინები: ს. ლ.-ის **2022 წლის 23 იანვრის პოსტი მწვანეების ჯგუფში**: „ეტყობა ვიღაცეებმა დაალაგეს რომ ჩვენი ორგანიზაცია პრაიდის და სხვა მაინსტრამ ნეოლიბერალური სისტემის დამხმარე რგოლად უნდა ჩამოყალიბდეს ან ვიღაცეებისთვის ტრამპლინად მაგ სისტემაში მოსახვედრად. პირდაპირ გეუბნებით რომ ამას ჩვენ, წევრები არ დავუშვებთ და გამხელთ ყველას ვინც მსგავს მსჯელობაში იმყოფებით! თავად ფაქტი რომ პრაიდის ორგანიზებულ თოქში მონაწილეობის მიღება არის ნორმალური (!!!!!) არის და იქნება საგანგაშო წევრებისთვის და მთელი მემარცხენე სპექტრის აბსოლუტური უმრავლესობისთვის. წინა და დღევანდელ შეხვედრაზე ისეთი აზრები დაიფრქვა რომ ამას ვეღარ გავატარებთ! ამ ყველაფერს უკვე საშინელი გარიგების სუნი ასდის, რომელსაც აუცილებლად ვამხელთ. არ გაუვა არავის მწვანეების ამაში შეთრევა!“ **1 თებერვლის ფეისბუქ სტატუსი**: „მწვანეები • Mtsvaneebi -ში კომმარო ტრიალებს, მაგრამ ეს

მიუთითებს, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა გარიცხვამდე არაერთხელ სცადა მასთან მედიაცია, თუმცა, საპასუხოდ მისგან ყოველთვის მოდიოდა კონფლიქტის გაღვივების მცდელობა. მოპასუხის განმარტებით, განმცხადებლის მიზანი ორგანიზაციაში რყევების შემოტანა და ყურადღების მასზე გადატანა იყო, რის გამოც, იგი „მწვანეებიდან“ გარიცხეს.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ ქ. ჯ. და ნ. ც. წესდების დარღვევის გამო გაირიცხნენ 2022 წლის 29 იანვარს; მათი ქმედებები მიმართული იყო ორგანიზაციის დისკრედიტაციისკენ, რაც ქმნიდა კონფლიქტურ გარემოს და შეუძლებელს ხდიდა საქმიანობის მშვიდ გარემოში გაგრძელებას;

კომპანი აუცილებლად წევრების და სწორი ღირებულებებისა და ფასეულობების გამარჯვებით დასრულდება. ეს არის სწორედ ის პროცესი რაზეც ამდენი ხანია ჩუმად ვარ და კინაღამ საავადმყოფოში გამაქანეს ნერვიულობისგან. ვიღაც კი კლასის ენჯელომნიკებმა ისე ჩაუბერეს რო კონსტიტუცია, ადამიანის ღირსების შელახვა, შრომითი უფლებების დარღვევა (მემარცხენე ორგანიზაციაში - wtf???) და ყველა უფლება თავზე გადავახიეს. ეს არავის არ გაუვა და ჩვენს ჩაგვრას ჩვენი გამარჯვება ძალიან მალევე ჩაანაცვლებს. იხილეთ განცხადება რომლის გავრცელება რამდენიმე წუთის წინ დავიწყეთ. საზოგადოებრივ მოძრაობა “მწვანეებში” წევრთა გარიცხვა, მათი დისკრედიტაცია, პოლიტიკური ნიშნით დევნა და დისკრედიტაცია მიმდინარეობს. ორგანიზაციის მმართველ რგოლში დარჩენილი ადამიანების მიერ შემამოთხობელი მოქმედებების საფუძველზე პროტესტის ნიშნად პოლიტიკური კომიტეტის ორი წევრი თანამდებობიდან უკვე გადადგა. “მწვანეებში” წევრთა მიმართ დისკრედიტაციული მიდგომები და განსხვავებული აზრის დევნა ახალი გენერალური მდივნის სოფო შუბითიძის თანამდებობაზე არჩევის მომენტიდან უწყვეტად მიმდინარეობს. ორგანიზაციაში მწვანე და მემარცხენე ღირებულებებისა და ასევე ცალკეულ წევრთა დისკრედიტაცია და დისკრედიტაციის პროცესში ამ დრომდე აქტიურად არიან ჩართული კომიტეტის წევრი ნ. გ. და თ. კ. წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციის წიაღში ახალი პოლიტიკური სტრატეგიები და მიდგომები მიუღებელია წევრთა უმრავლესობისთვის. ს. ლ.-მა სხვა წევრებთან ერთად გასული წლის ნოემბერში შემფოთება გამოთქვა რომ “მწვანეები” ნამახვანჭესის გარშემო მედიაციაში აღარ მონაწილეობენ, რაზეც გენერალური მდივნისგან პასუხად მიიღო რომ “ნამახვანჭი პრიორიტეტი აღარ არის”. ამ საკითხის მრავალჯერადი მოკითხვის პროცესში თავად მედიაციაც დასრულდა და წევრებმა ჩვენდა სამწუხაროდ ამ საკითხს შესაბამისი ყურადღება აღარ მივაქციეთ იმ იმედით რომ მომავალში მსგავსი მიმართება არ განმეორდებოდა. აქედან ძალიან მალევე, 2022 წლის იანვარში “მწვანეების” წევრები სოციალური მედით ვიკებთ, რომ პოლიტიკური კომიტეტის წევრი თ. კ. მონაწილეობას ღებულობს “თბილისი პრაიდის” მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში “კლიმატის ცვლილებები”. თავშივე გვინდა განვმარტოთ, რომ ორგანიზაცია “მწვანეებში” ჩვენი ორგანიზაციის წევრებისთვის მინიმუმ ძალიან პრობლემურად მიჩნეულ “თბილისი პრაიდთან” ნებისმიერი ტიპის თანამშრომლობის შანსიც კი შეთანხმებული უნდა იყოს მის წევრებთან. აღფოთებულმა წევრებმა თავდაპირველად თ. კ.-ს ამ დისკუსიიდან მოხსნა მოვითხოვეთ, რაზეც კ.-მა შეურაცხმყოფელი კომენტარებით გვიპასუხა - ინტერნალიზებულ ჰომოფობიებზე და ელიტისტებზე მოიხსენია ორგანიზაციის წევრები, მათ შორის უმრავლესობა კი თავად ქვიარ თემის წევრია. კ. არ დაემორჩილა წევრთა სამართლიან მოთხოვნასა და აღფოთებას, ორგანიზაციის წიაღში გააჩინა არეულობა. შედეგად აღფოთებულმა წევრებმა თ. კ.-ის გადადგომის მოთხოვნით მიმართეს კომიტეტს. ელემენტარულ დათმობაზე წასვლის ნაცვლად კი, კ., ნ. გ.-თან და სოფო შუბითიძესთან ერთად იწყებს გაჩენილი პროტესტის ავტორიტარული მეთოდებითა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით დევნას. ამ დროს პოლიტიკური კომიტეტის ორი წევრი, თ. ი. და მ. ნ. უკვე პროტესტის ნიშნად აღარ იკავებენ პოზიციებს პოლიტიკურ კომიტეტში, როცა თ. კ.-მა და ნ. გ.-მა კენჭი უყარეს თ. კ.-ის თანამდებობიდან გადაყენებას, რის შემდეგაც კ. დღემდე ინარჩუნებს კომიტეტის წევრის თანამდებობას. 27 იანვარს წევრთა დისკრედიტაცია და პოლიტიკური დევნა ახალ ფაზაში გადადის და ორგანიზაციიდან ირიცხება ს. ლ. შემდეგ დღეებში ლ. მსგავსად და იგივე ტიპის აბსურდული ბრალდებებით, “მწვანეებიდან” ირიცხებიან კომიტეტის ყოფილი წევრი თ. ი., ქ. ჯ. და ნ. ც. არცერთი “გარიცხული” წევრი არ ვაღიარებთ არალეგიტიმური, მხაგვრელი, ადამიანის ღირსებისა და უფლებების შემლახველი, უპასუხისმგებლო, უსამართლო და ანტისახალხო გენერალური მდივნის სოფო შუბითიძის, კომიტეტში დარჩენილი ავტორიტარების თ. კ.-სა და ნ. გ.-ის მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებას. ჩვენ ისევ მწვანეების წევრებად ვრჩებით და ვაგრძელებთ სამართლიან პროტესტს ორგანიზაციის ღირებულებების კიდევ უფრო გამყარებისთვის და საკუთარი უფლებების დასაცავად. **10 თებერვლის ფეისბუქ სტატუსი:** „ძალიან დაკავებული ვარ ლევან ზურაბაშვილის გათავისუფლების აქციის ორგანიზებით და კიდევ სხვა საქმეებით. „მწვანეებში“ კი ისეთი ამბავია შეუძლებელია ეს მოკლედ მაინც არ დავეწერო დაინტერესებული ადამიანებისთვის. თავშივე მინდა ვთქვა, რომ ეს ამბავი არის მწვანეები ეს სამი უზურპატორი, რომელსაც საკუთარი თავის და ქაღალდზე ძალაუფლების გარდა არაფერი აქვთ საერთო ამ ორგანიზაციასთან. 1. მწვანეებში მიკრო ძალაუფლებას გამოეკიდა 3 ადამიანი, რომელსაც არანაირი დასაყრდენი აღარ გააჩნია წევრებში. 2. შეგროვდა ხელმოწერები რიგგარეშე ასამბლეის მოთხოვნით მაგრამ მიკრო ასლან აბაშიძეებმა ესეც უარყვეს (პოლიცია უნდა გამოვიძახოთ ალბათ მალე პირდაპირ) 3. მემარცხენე ორგანიზაციიდან საპროტესტო წერილზე ხელმოწერი ადამიანების გარიცხვა მიმდინარეობს სხვადასხვა აბსურდული მიზეზებით - მაგალითად, ე. ფ. საწვევროს 10 ლარის გადაუხდელობის გამო გარიცხეს 😊 მ. ხ.-ს კი მიმეზი დაუწუნეს ფბ-ზე და ის სახელდება გარიცხვის მიზეზად :დ 4. ოფისის თანამშრომლებმა დაიწყეს შრომითი დავა და მედიატორის დანიშვნამდე ორგანიზაციიდან ისინიც გარიცხეს (სისხლის სამართალი. მუხლი 165). 5. მიმართულია სახალხო დამცველთან დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის ადამიანების დისკრედიტაციის და პოლიტიკური დევნის აღმოსაფხვრელად. კიდევ რაღაც შეიძლება გამომრჩა, მაგრამ სამი ადამიანი : სოფო შუბითიძე, თ. კ. და ნ. გ. იმენა ჭკუიდან გადავიდნენ. მართლა პირდაპირ სასამართლოში ბრალდებულის სკამზე არ აღმოჩნდეს ეს ხალხი მათ მაგივრად მე ვნერვიულობ. პატარა ინფო მდგომარეობაზე მწვანეებში.

ისინი ღიად აგრძელებდნენ ორგანიზაციის გამგეობის წევრების მიმართ უსაფუძვლო თავდასხმებს და მიზანმიმართულად ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, მაგ. ქ. ჯ., ორგანიზაციის გენერალურ მდივანს არაკუმანურ და ღირსებაშემლახველ მოპყრობაში ადანაშაულებდა და ამ ინფორმაციას ავრცელებდა წევრთა საერთო ჯგუფში.¹⁰ ასევე, ქ. ჯ. და ნ. ც. უხეში და აგრესიული ფორმებით ხელს უშლიდნენ თ. კ.-ს ფუნდამენტური თავისუფლებისა და გამოხატვის უფლების განხორციელებას, რაც ასევე შეიცავდა ჰომოფობიისა და დისკრიმინაციის ნიშნებს. წერილში აღნიშნულია, რომ ე.წ. საპროტესტო წერილის შინაარსი, რომელზეც აპელირებენ განმცხადებლები, მადისკრიმინირებელი შინაარსის შემცველად იქნა იდენტიფიცირებული „მწვანეების“ მმართველი რგოლის მიერ.

მოპასუხე მიუთითებს, რომ თ. ი. იჩენდა უპატივცემულობას სამუშაო გარემოს მიმართ, იყო ორგანიზაციის კომიტეტის წევრი და კომიტეტის კონფიდენციალურ მიმოწერას უზიარებდა არაუფლებამოსილ პირებს, თავს არიდებდა აღებული პასუხისმგებლობის შესრულებას, არ პასუხობდა კომიტეტის სხვა წევრებთან ორგანიზაციისთვის პრობლემური საკითხების გარშემო კომუნიკაციაზე და ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ამასთან, მოპასუხემ წერილში განმარტა, რომ „მწვანეების“ გენერალურ მდივანს - სოფო შუბითიძეს არ მოუთხოვია დ. მ.-სთვის, არ განეთავსებინა ს. ლ.-ის ინტერვიუ „მწვანეების“ ფეისბუქის გვერდზე. მისი განმარტებით, მან დ. მ.-ს სთხოვა ორგანიზაციის წარმომადგენლობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელი პირების, ე.ი. პოლიტიკური კომიტეტის წევრების ინტერვიუები განეთავსებინა ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე, რომლებიც გამოხატავდა ორგანიზაციის პოზიციას მომხდართან დაკავშირებით, ს. ლ. კი არ იყო პოლიტიკური კომიტეტის წევრი.¹¹ მოპასუხის განმარტებით, „მწვანეების“ სხვა წევრებმაც (გ. ფ.-ემ, ა. ა.-ემ და სხვ.) მისცეს ინტერვიუ 25 იანვრის აქციაზე, თუმცა, არც ერთი მათგანის ჩანაწერი არ განთავსებულა ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდზე. მოპასუხე დამატებით მიუთითებს, რომ ს. ლ.-ის ინტერვიუ გამოირჩეოდა ორგანიზაციის საერთო პოზიციასთან შეუსაბამო, მწვავე მოწოდებებით, ის მოითხოვდა მთავრობის გადადგომას, რაც არ გამოხატავდა „მწვანეების“ წევრთა და გამგეობის აზრს და შეთანხმებულ ორგანიზაციულ პოზიციებს.

თ. კ.-ს გადაყენების კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ პოლიტიკური კომიტეტის წევრის გადაყენების საკითხს აწესრიგებს შინაგანაწესის მე-9 მუხლი, თუმცა, თ. კ.-ის მხრიდან არ გამოკვეთილა მანდატის შეწყვეტისთვის შინაგანაწესით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობა. მისი გადადგომის მოთხოვნის მოტივები

¹⁰მოპასუხემ წარმოადგინა მწვანეების ჯგუფში ქ. ჯ.-ის მიერ გავრცელებული პოსტის არასრული სქერინი, რაც არ იძლევა სრული სურათის დანახვის და იმის შეფასების შესაძლებლობას ღირსებისშემლახველი არის თუ არა გენერალური მდივანის მიმართ; ქ. ჯ. წერს, რომ ოფისის თანამშრომლებმა საპროტესტო წერილით მიმართეს გენერალურ მდივანსა და კომიტეტს, სადაც ასევე საუბარი იყო მათი შრომითი უფლებების დარღვევასა და ღირსების შემლახველ მოპყრობაზე მათ შორის გენერალური მდივანის მხრიდან

¹¹სოფო შუბითიძე: მხოლოდ კომიტეტის წევრები გააზიარე 21:05 სოფო შუბითიძე: დანი, უკვე ითქვა, რომ მხოლოდ კომიტეტი იდება 23:44 no more drama pls 23:44 დ. მ: ბოდიში სოფო, მაგრამ no more drama ასეთი გადაწყვეტილებებით ვერ გამოვა. თქვენი საქმის თქვენ იცით და ძალიან გთხოვ მაშინ დაწერე იმ ჩატში და მე ნუ მჭყლეტ რაღაცების გამო. i'm done. დამემშვიდობის

ბუნდოვანი, დაუსაბუთებელი და დისკრიმინაციის შემცველი იყო, ამიტომ ამ საკითხზე არ ჩატარებულა კენჭისყრა. კომიტეტის სხვა წევრებმაც გენერალურ მდივანთან პირად საუბრებში დააფიქსირეს, რომ ისინი არ მიიჩნევენ თ. კ.-ის გადადგომის მოთხოვნას მიზანშეწონილად; შესაბამისად, მანდატის შეწყვეტის პროცედურის წამოსაწყებად არ იყო წესდებით გათვალისწინებული კომიტეტის წევრთა ორი მესამედის თანხმობა.

თ. ი.-ს განცხადების წაშლასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც თ. ი.-ს შეუწყდა „მწვანეების“ წევრის სტატუსი, იგი წაიშალა სოციალურ ქსელებში არსებული „მწვანეების“ ჯგუფებიდან. მისი და სხვა გარიცხული წევრების პოსტები კი ავტომატურად წაიშალა, მას შემდეგ, რაც მათ დატოვეს ჯგუფები. აღნიშნული წესრიგდება ფეისბუქის ჯგუფების მართვის პოლიტიკით; კონკრეტული პოსტების მიზანმიმართულად და ინდივიდუალურად წაშლა ადმინისტრატორის მიერ არ მომხდარა.

მოპასუხის განმარტებით, ქ. ჯ.-ის კომიტეტის წევრად დანიშვნის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილება არ მიღებულა - 2022 წლის 14 თებერვალს „მწვანეების“ გენერალურმა მდივანმა დაუდასტურა „ახალგაზრდა მწვანეებს“ ქ. ჯ.-ის პოლიტიკურ კომიტეტში მიღება და ის კომიტეტის მოქმედი წევრია. მანამდე კი, კომიტეტის წევრს - ნ. გ.-ს საქმიანი შეკითხვები ჰქონდა ქ. ჯ.-ის კომიტეტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რამაც პროცედურული თვალსაზრისით დროში გაახანგრძლივა მიღების პროცესი და ეს არ წარმოადგენს საფუძველს, რომ ამ პროცესის, როგორც უარყოფითი გადაწყვეტილების სახელდება მოხდეს. ნ. გ.-ს ჰქონდა არგუმენტაციები, კითხვები და ახსნა-განმარტებები ქ. ჯ.-ის კანდიდატურის მიმართ. კერძოდ, გ.-ის მოსაზრებით, იმდენად, რამდენადაც ქ. ჯ. იჩენდა მტრულ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას კომიტეტის სხვა წევრების მიმართ, მას ჰქონდა მოლოდინი, რომ მისი პოლიტიკურ კომიტეტში დანიშვნა ხელს შეუშლიდა ორგანიზაციის კონსტრუქციულ მუშაობას და საქმიან რეჟიმში დაბრუნებას.

განმცხადებლების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეების“ საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს საჯარო ლექციებში, ფორუმებსა და დისკუსიებში ჩართულობა. ასევე, სათემო გაერთიანებების მხარდაჭერა. „თბილისი პრაიდის“ - მიერ 2022 წლის 26 იანვარს გამართულ ფორუმში „ქვიარ პერსპექტივა კლიმატის ცვლილება“, მოხსენებით გამოვიდა „მწვანეების“ პოლიტიკური კომიტეტის წევრი - თ. კ., სადაც, მან ისაუბრა ეკოლოგიურ გამოწვევებზე, კლიმატის ცვლილებაზე და ამ მხრივ მოსალოდნელ საფრთხეებზე. თ. კ.-ის მოხსენება იყო საგანმანათლებლო ხასიათის და ემსახურებოდა ქვიარ თემში გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას. თ. კ. ამ დისკუსიაში მოწვეული იყო როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი და არა როგორც „მწვანეების“ პოლიტიკური კომიტეტის წევრი. „თბილისი პრაიდის“ ანონსში თ. კ.-ის გამოჩენამ გამოიწვია „მწვანეების“ იმ წევრთა პროტესტი, ვისაც „თბილისი პრაიდისგან“ განსხვავებული ხედვები აქვს ქვიარ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ს. ლ.-ის და ქ. ჯ.-ის თქმით, მათთვის მიუღებელი იყო „თბილისი პრაიდთან“ რაიმე სახის თანამშრომლობა. გენერალურმა მდივანმა განმარტა, რომ დისკუსიაში მონაწილეობა არ

გულისხმობდა „თბილისი პრაიდთან“ პარტნიორობის დამყარებას და ეს არ უნდა გაგებულიყო თანამშრომლობად, იმის გათვალისწინებითაც, რომ თ. კ. მოხსენებით გამოდიოდა, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი. განმცხადებლებმა თ. კ.-ს მხრიდან „იდეოლოგიურად მიუღებელი“ ქმედების გამო მოითხოვეს დაეტოვებინა პოლიტიკური კომიტეტის წევრობა. ვინაიდან „თბილისი პრაიდში“ გამართული დისკუსია არ ეწინააღმდეგებოდა ორგანიზაციის წესდებით გაცხადებულ მემარცხენე იდეოლოგიას, ამიტომ, თ. კ.-ს დევნა საკითხზე განსხვავებული შეხედულების გამო ატარებდა რამდენიმე ადამიანის მხრიდან პერსონალური მიუღებლობის მოტივებს და შეიცავდა დისკრიმინაციის ნიშნებს. შესაბამისად, თ. კ.-სთვის მანდატის შეჩერების პროცედურა ორგანიზაციაში არ დაწყებულა. ამან მეტად გააღიზიანა ს. ლ., ქ. ჯ., ნ. ც. და თ. ი.

მოპასუხემ დამატებით განმარტა, რომ არ იზიარებს განმცხადებლების პოზიციას, რომ მათ განიცადეს დისკრიმინაციის რომელიმე ფორმა. თ. კ.-ის გადაყენების მოთხოვნაზე ხელმომწერი 13 პირიდან უმრავლესობას არ შეწყვეტია წევრობა, რადგან მათი მხრიდან თ. კ.-ის დისკუსიაში მონაწილეობის შესახებ კრიტიკული აზრის დაფიქსირების მიუხედავად, ადგილი არ ჰქონდა ორგანიზაციის დისკრედიტაციის და საქმიანობისთვის ხელის შეშლის მცდელობებს. ს. ლ.-ის, ქ. ჯ.-ის, ნ. ც.-ის და თ. ი.-ის გარიცხვა განპირობებული იყო ობიექტური მიზეზებით, რომელსაც აქვს გონივრული გამართლება. გადაწყვეტილება ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ორგანიზაციაში მტრული და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნის პრევენციას, რაც წესდებიდანაც გამომდინარეობს. ს. ლ.-თან იყო მედიაციის მცდელობაც, სხვა წევრებმაც მიიღეს გაფრთხილებები, მათი გარიცხვა იყო უკანასკნელი თანაზომიერი გზა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (კონსტიტუციის ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹²

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1

პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლის *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე. ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.¹³

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებლებს

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებლებს ხელი შეეშალათ.

განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაცია „მწვანეებიდან“ გარიცხეს ოთხი პირი - ს. ლ., ქ. ჯ., ნ. ც. და თ. ი., შესაბამისად, სახალხო დამცველი შეაფასებს, მოხდა თუ არა გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა განმცხადებლების მიერ გამოხატული განსხვავებული შეხედულების გამო.

გაერთიანების თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად, გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „*ადამიანი, თავისი არსით, არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ სოციალური არსებაცაა, რომლის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან*. ადამიანის თავისუფლება არ არის თავისუფლება საზოგადოებისაგან, ეს არის თავისუფლება საზოგადოებაში, სადაც

¹³ ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60

*არსებობს და გადაიკვეთება მრავალი თანმხვედრი, თუ ურთიერთსაპირისპირო ინტერესი. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად.*¹⁴

გაერთიანების უფლების მნიშვნელობა უპირველესად ადამიანის სამოქალაქო აქტივობის უზრუნველსაყოფად არის მოხსენებული კონსტიტუციაში, რასაც ადასტურებს კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოს ჩანაწერი: „გაერთიანების თავისუფლებას დიდი დატვირთვა ენიჭება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლების გარანტირების, არამედ დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების კუთხით. გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებისათვის.“¹⁵

*საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გაერთიანება არ არის პირთა უბრალო ერთობა – ეს არის პირთა სუბიექტური მისწრაფებებით განპირობებული ერთობა საერთო იდეებისა და მიზნების გარშემო.*¹⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობის გარანტიას. აღნიშნული უფლება, მათ შორის, გულისხმობს პროფესიული კავშირების შექმნისა და საკუთარი ინტერესების დასაცავად მასში გაერთიანების უფლებას. კონვენციის მე-11 მუხლი ასევე მოიცავს გაერთიანების თავისუფლების ნეგატიურ ასპექტს რაც გულისხმობს პირის უფლებას, არ იყოს რომელიმე გაერთიანების წევრი.¹⁷ მითითებული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აღნიშნული გარემოებების შემოწმებისას, ყურადღება ექცევა, თუ რამდენად ეფუძნება კონკრეტული გადაწყვეტილება შესაბამისი ფაქტების სათანადო შეფასებას.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 22-ე მუხლის თანახმად, თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის უფლება, მათ შორის უფლება თავისი ინტერესების დასაცავად შექმნას და შევიდეს პროფესიულ კავშირებში. დაუშვებელია ამ უფლებით სარგებლობისათვის შეზღუდვების დაწესება, იმათ გარდა, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი და, რომლებიც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება II.3.2;

¹⁵ იქვე

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.16

¹⁷ ECtHR, Sigurður A. Sigurjónsson v. Iceland, no. 16130/90, 30/06/1993, § 35

ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვისა თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.¹⁸

გაერთიანების გარკვეული ტიპები, როგორცაა ფონდები, ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, უმცირესობათა ან/და დაუცველი ჯგუფების უფლებების ხელშეწყობი ორგანიზაციები, ახალგაზრდული და ბავშვთა ორგანიზაციები, ეკოლოგიური ორგანიზაციები და საცხოვრებელი გაერთიანებები, ასევე შეიძლება დაექვემდებაროს სპეციალურ კანონმდებლობას. ასეთმა სპეციალურმა დებულებებმა შეიძლება აღიაროს მათი განსხვავებული საჭიროებები და, შესაბამისად, მიმართული უნდა იყოს მათი საქმიანობის ხელშეწყობისკენ და არა მათი შეფერხებისკენ.¹⁹

„ა(ა)იპ საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეების“ წესდების პირველი მუხლის მიხედვით, „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეები“ არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად. საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეები არის მწვანე-მემარცხენე გაერთიანება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ეკოლოგიური, სოციალური და დემოკრატიული პოლიტიკური კურსის დანერგვასა და გატარებას (მე-2 მუხლი).

წესდების მე-3 მუხლის თანახმად, ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც, იზიარებს წესდებას, პოლიტიკურ პლატფორმას და მზად არის ხელი შეუწყოს ორგანიზაციას მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; წესდების თანახმად, ორგანიზაციის წევრობა ნებაყოფლობითია; ორგანიზაციის წევრობა შესაძლებელია აპლიკაციის შევსების საფუძველზე, რომელსაც განიხილავს პოლიტიკური კომიტეტი და შეხვედრის საფუძველზე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას; ორგანიზაციის წევრს/წევრებს უფლება აქვს: ჩაერთოს ორგანიზაციის საქმიანობაში; აირჩიოს და არჩეული იყოს ორგანოებში; მოიწვიონ რიგგარეშე კონგრესი; სხვა წევრებს და პოლიტიკურ კომიტეტს წლის განმავლობაში გააცნოს საკუთარი იდეები.

პროფესიული კავშირების შექმნის უფლება მოიცავს საკუთარი წესების შექმნის უფლებას, განახორციელონ საკუთარი საქმეები, შექმნან და შეუერთდნენ პროფკავშირების დანაყოფებს²⁰ პროფესიული გაერთიანებები სარგებლობენ თავისუფლებით, დაადგინონ საკუთარი წესები გაწევრიანების პირობებთან დაკავშირებით, მათ შორის, ადმინისტრაციული ფორმალობების და საფასურის გადახდის, აგრეთვე დაადგინონ სხვა არსებითი კრიტერიუმები, რომელსაც ახორციელებს სავარაუდო მსურველობის წევრი (would-be member).²¹

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლებს არ მიეცათ საშუალება სრულფასოვნად ესარგებლათ გაერთიანების თავისუფლებით და გარიცხეს ა(ა)იპ მწვანეებიდან, რაც წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევას.

¹⁸ საქართველოსთვის ძალაშია 03.08.1994 წლიდან

¹⁹ Guidelines of Freedom of Association, OSCE/ODIHR 2015, გვ 34

²⁰ CHEALL v United Kingdom application N10550/83, 13.05.1985

²¹ Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights, Freedom of assembly and association, 254 https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_11_ENG.pdf

განსხვავებული აზრის გამოხატვა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობისთვის, აუცილებელია, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი იყოს ისეთი ნიშნის მატარებელი, რის გამოც, მას განსხვავებულად ეპყრობიან. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად ვერ იქნება მიჩნეული, თუკი სავარაუდო მსხვერპლს/მსხვერპლებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული მახასიათებელი არ აქვს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-10 მუხლით უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები. აღნიშნული დათქმიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.²³

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტარების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის გზით.²⁴

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.²⁵ მსგავს საშუალებებს შორისაა ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.²⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, მის

²² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Á.A. v. Turkey*, 13.09.2005 პარ. 23.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება II, პ.26.

²⁴ ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3exa2Sr> > [06.05.2022]; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2XOec35> > [06.05.2020].

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება II.პარ.56.

²⁶ ივე. იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.²⁷

ამავდროულად, უფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდებები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება, არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.²⁸

მიუხედავად მისი ღირებულებისა, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, დასახელებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.²⁹ უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობები გაწერილია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის³⁰ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის³¹ თანახმად.

ხაზგასასმელია, რომ მოვლენის/სიტუაციის შესახებ დაფიქსირებული მოსაზრებები ან პირადი შეფასებები წარმოადგენს პიროვნების გარკვეულ ხედვას და ვერ იქნება შეფასებული როგორც ტყუილი ან სიმართლე; ხოლო როდესაც ხდება კონკრეტული ფაქტის ხაზგასმა - ის შეიძლება შეფასდეს როგორც სიცრუე ან ჭეშმარიტება. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შეიძლება, არამედ ასევე ის მოსაზრება, კრიტიკა თუ სპეკულაცია, რომელიც შეიძლება „ჭეშმარიტების დადგენის“ საშუალებას არ იძლეოდეს.³²

განმცხადებლები აპროტესტებდნენ, „მწვანეების“ კომიტეტის წევრის - თ. კ.-ს „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობას; 19 იანვარს, სადამოს,

²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48

²⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49

²⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5

³⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყსრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად

³¹ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად

³² Council of Europe, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights – A Handbook for Legal Professionals, 2017, გვ. 78, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rm.coe.int/handbook-freedom-of-expression-eng/1680732814>

განმცხადებლებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ არ იცოდნენ მათი კომიტეტის წევრის აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ და მოითხოვეს, თ. კ.-ს არ მიეღო ღონისძიებაში მონაწილეობა. შეხვედრის დასრულებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, წევრებმა „მწვანეების“ ფეისბუქის დახურულ ჯგუფში გამოთქვეს შეშფოთება; 23 იანვარსაც გაიმართა წევრთა შეხვედრა, უნდა მიეღო თუ არა თ. კ.-ს ღონისძიებაში მონაწილეობა. ამასთან, ს. ლ.-მა 2022 წლის 23 იანვარს გამოაქვეყნა პოსტი მწვანეების დახურულ ჯგუფში: „ეტყობა ვიღაცებმა დაალაგეს რომ ჩვენი ორგანიზაცია პრაიდის და სხვა მაინსტრუმენტული ნეოლიბერალური სისტემის დამხმარე რგოლად უნდა ჩამოყალიბდეს ან ვიღაცებისთვის ტრამპლინად მაგ სისტემაში მოსახვედრად. პირდაპირ გეუბნებით რომ ამას ჩვენ, წევრები არ დავუშვებთ და გამხელთ ყველას ვინც მსგავს მსჯელობაში იმყოფებით! თავად ფაქტი რომ პრაიდის ორგანიზებულ თოქში მონაწილეობის მიღება არის ნორმალური (!!!!!) არის და იქნება საგანგაშო წევრებისთვის და მთელი მემარცხენე სპექტრის აბსოლუტური უმრავლესებისთვის. წინა და დღევანდელ შეხვედრაზე ისეთი აზრები დაიფრქვა რომ ამას ვეღარ გავატარებთ! ამ ყველაფერს უკვე საშინელი გარიგების სუნი ასდის, რომელსაც აუცილებლად ვამხელთ. არ გაუვა არავის მწვანეების ამაში შეთრევა!“ საქმის მასალებში ასევე ვხვდებით თ. ი.ს „მწვანეები-წევრების“ ჯგუფში გამოქვეყნებულ სტატუსს, რომლითაც ის აკრიტიკებს კომიტეტს. გარდა ამისა, განმცხადებლები მოითხოვდნენ თ. კ.-ის კომიტეტის წევრის თანამდებობიდან გადადგომას და მისი გადაყენების მოთხოვნის ხელმოწერა სიაში (იხ. სქოლიო 3) მათ სახელებსა და გვარებს ვხვდებით.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი არ იმსჯელებს განმცხადებელთა მოთხოვნის ლეგიტიმურობაზე და მხოლოდ ამ მოსაზრებების გამო მათი გაერთიანების უფლების შეზღუდვის სისწორეს შეაფასებს. სახალხო დამცველის შეფასებით, განმცხადებლების მოსაზრებები იყო მათი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამომხატველი „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში კომიტეტის წევრის - თ. კ.-ის მონაწილეობის თაობაზე. აღნიშნული დამოკიდებულება და შეფასება კი კომიტეტის მიერ მიჩნეული იქნა როგორც თ. კ.-ზე თავდასხმა და მისი შევიწროება. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ განმცხადებლების მიერ გამოხატული მოსაზრებები ცალსახად გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა და მიიჩნევს, რომ განმცხადებლების კრიტიკა თ. კ.-ის კონკრეტულ ღონისძიებაში „მწვანეების“ ორგანიზაციის სახელით მონაწილეობასთან მიმართებით არ სცდება გამოხატვის თავისუფლებით დასაშვებ კრიტიკის ფარგლებს.

განსახილველ შემთხვევაში, მოვლენების განვითარების თანმიმდევრობა ადასტურებს, რომ ორგანიზაციიდან გარიცხვის ინიცირება განპირობებული იყო მხოლოდ განმცხადებლების მიერ დაფიქსირებული პოზიციებით. შესაბამისად, ფაქტების, მტკიცებულებებისა და სამართლებრივი სტანდარტების შეჯერებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიმართ, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა **გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევას გამოხატვის თავისუფლებით დაცული აზრის გამო.**

განხილვის შემდეგ ეტაპებზე, სახალხო დამცველი შეაფასებს შესადარებელი პირების არსებობის საკითხს, უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანს და მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალების თანაზომიერებას.

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.³³

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.³⁴

სახალხო დამცველი გამოიყენებს ჰიპოთეტურ კომპარატორს, რომელიც განისაზღვრება თანაბარი მოპყრობის სტანდარტის საფუძველზე³⁵ და იმსჯელებს, იმ შემთხვევაში, განმცხადებლებს ან თეორიულად, მათ ადგილას მყოფ სხვა პირს/პირებს, რომ არ გამოეხატათ განსხვავებული მოსაზრებები, შეუწყდებოდათ თუ არა „მწვანეების“ წევრობის სტატუსი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლები, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს მათ მიერ გამოხატული საჯაროდ გამოხატული მოსაზრების, მათ შორის, თ. კ.-ის კომიტეტის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნის და მათი აქტიურობის გამო, რომელიც გაერთიანების ხელმძღვანელობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

2.4 ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.³⁶

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე განმცხადებლების ორგანიზაციიდან გარიცხვას უკავშირებს „მწვანეების“ წესდების მე-3 მუხლის 3.9.3 პუნქტს, რომელიც წესდების და შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევის და/ან ორგანიზაციის დისკრედიტაციის შემთხვევაში წევრის გარიცხვის საკითხს არეგულირებს. სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხე შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი მითითებებით და ვერ დაადასტურა, რომ განმცხადებლები ნამდვილად არღვევდნენ შინაგანაწესს ან წესდებას, ან ახდენდნენ ორგანიზაციის დისკრედიტაციას. კერძოდ, მოპასუხე ვერ მიუთითებს, კონკრეტულად როდის, რომელმა განმცხადებელმა დაარღვია შინაგანაწესი ან რა ტიპის რეპუტაციული ზიანი

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19

³⁵ European Network of Legal Experts in the non-discrimination field, European Anti-discrimination Law Review, No. 15- 2012, გვ . 27, ხელმისაწვდომია: <https://www.equalitylaw.eu/downloads/2527-law-review-15> .

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

მიაყენა ორგანიზაციას. მოცემულ საქმეში, განმცხადებლები არ უარყოფენ, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ თ. კ.-ის მონაწილეობას „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე და სწორედ მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების გამოხატვას უკავშირებენ „მწვანეებიდან“ გარიცხვას. ამასთან, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაც, რომ პროფკავშირებს გააჩნიათ წევრების შერჩევის უფლება³⁷. მე-11 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ ასოციაციები და ორგანიზაციები ვალდებული არიან მიიღონ ყველა, ვისაც წევრობა მოესურვება, რამდენადაც, როდესაც ასოციაციები იქმნება საერთო ფასეულობებისა და იდეალების მქონე პირების მიერ, რომელთაც სურთ მიაღწიონ საერთო მიზნებს. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა თვით დაცული უფლების არსებობის საკითხი, თუკი ამ პირებს არ ექნებოდათ საკუთარი წევრობის გაკონტროლების შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, კერძოდ, მომჩივანი პროფკავშირის განცხადებით, მას ხელი ეშლებოდა ერთ-ერთი წევრის გარიცხვაში, რომელიც წარმოადგენდა რადიკალი მემარჯვენე ბრიტანეთის ნაციონალური პარტიის წევრს. შიდა სასამართლო პროცესის დროს, შრომითი დავების ტრიბუნალმა დაადგინა, რომ პროფკავშირს შეეძლო გაერიცხა წევრი მისი ქმედებების გამო, მაგრამ არა მისი პოლიტიკური პარტიის წევრობის გამო. ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ მე-11 მუხლი დაირღვა, ვინაიდან პროფკავშირს გააჩნია საკუთარი წევრების შერჩევის უფლება და რომ წევრის პოლიტიკური შეხედულებები ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებოდა პროფკავშირის შეხედულებებს. პროფკავშირი არ მოქცეულა არაგონივრულად ან უხეშად და გარიცხვა არ შეუქმნიდა აღნიშნულ პიროვნებას რაიმე პრობლემას.³⁸

*მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს ორგანიზაციიდან წევრის გარიცხვას, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს განმარტებით, გაერთიანებიდან გარიცხვამ შესაძლოა გამოიწვიოს წევრის გაერთიანების თავისუფლების დარღვევა, თუ დარღვეულია გაერთიანების წესები, თვითნებურია ან იწვევს განსაკუთრებულ ტვირთს ინდივიდისთვის.*³⁹

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მოპასუხის მიერ წარმოდგენილ თითოეულ არგუმენტაციას შეფასება მისცეს. კერძოდ, მოპასუხე აღნიშნავს, რომ ს. ლ. 2021 წლის დეკემბრის თვეში გენერალურ მდივანს სოფო შუბითიძეს შეურაცხმყოფელი და ზეწოლის შემცველი ფორმებით მიმართავდა. სახალხო დამცველი გაეცნო მიმოწერას, რომელიც არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ განმცხადებელი სოფიკო შუბითიძეს შეურაცხყოფას აყენებს ან მასზე ზეწოლას ახდენს (*იხ. სქოლიო 7*), მიმოწერა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მხარეებს დამაბული და არა კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ.

ასევე, სახალხო დამცველი არ იზიარებს მოპასუხის განმარტებას, რომ ს. ლ. ფეისბუქის პირად პროფილზე ახდენდა ორგანიზაციის დისკრედიტაციას, ორგანიზაციის შიგნით ქმნიდა კონფლიქტურ გარემოს და გამოირჩეოდა დესტრუქციული ქმედებებით (*იხ. სქოლიო 9*); სქრინები, რომლებიც აღნიშნულის დასადასტურებლად მოპასუხემ წარმოადგინა, შეეხება ს.

³⁷ Associated Society of Locomotive Engineers & Firemen (ASLEF) v. UK, No. 11002/05, 27.2.07, § 39

³⁸ იქვე

³⁹ Lovrić v. Croatia, 2017, §§ 54 and 72

ლ.-ის მოსაზრებებს „მწვანეებში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და დაცულია გამონახატვის თავისუფლებით.

ქ. ჯ.-სთან მიმართებით, მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგი ორგანიზაციის გენერალურ მდივანს არაპუმანურ და ღირსებაშემლახველ მოპყრობაში ადანაშაულებდა და ამ ინფორმაციას ავრცელებდა წევრთა საერთო ჯგუფში (*იხ. სქოლიო 10*). მოპასუხემ წარმოადგინა არასრული სქრინი, რომელიც არ იძლევა სრული სურათის დანახვის და იმის შეფასების შესაძლებლობას, ღირსებისშემლახველი არის თუ არა გენერალური მდივნის მიმართ. წარმოდგენილი სქრინი მხოლოდ „მწვანეებში“ განვითარებულ მოვლენებს ასახავს და ასევე დაცულია გამონახატვის თავისუფლებით.

თ. ი.-თან მიმართებით, მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგი იჩენდა უპატივცემულობას სამუშაო გარემოს მიმართ, გამგეობის კონფიდენციალურ მიმოწერას უზიარებდა არაუფლებამოსილ პირებს, თავს არიდებდა აღებული პასუხისმგებლობის შესრულებას, არ პასუხობდა გამგეობის სხვა წევრებთან ორგანიზაციისთვის პრობლემური საკითხების გარშემო კომუნიკაციაზე და ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს ამგვარი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები სახალხო დამცველის აპარატში არ წარმოუდგენია, ამის საწინააღმდეგოდ, წარმოდგენილ მიმოწერის თანახმად, თ. ი. სთავაზობს წევრებს კომიტეტის სხდომის ჩატარებას და შეთავაზებულ დღესაც თანხმდება.

სახალხო დამცველი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ს. ლ.-ს ორგანიზაციის წევრის სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 27 იანვარს, თ. ი.-ს, ნ. ც.-ეს, და ქ. ჯ.-ეს კი 2022 წლის 29 იანვარს; გადაწყვეტილებას ხელს აწერენ ნ. გ. და თ. კ., თუმცა, კომიტეტის სხდომას ასევე ესწრება გენერალური მდივანი - სოფიკო შუბითიძე; „მწვანეების“ წესდების მე-8 მუხლის თანახმად, პოლიტიკური კომიტეტის წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდს⁴⁰; ამასთან, პოლიტიკური კომიტეტი ირჩევს და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს; საგულისხმოა, რომ პოლიტიკური კომიტეტის მხოლოდ ორმა წევრმა მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლებისთვის წევრობის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, 2 წევრმა კი - მ. ნ.-მა (27 იანვარს) და თ. ი.-მა (24 იანვარს) კომიტეტი დატოვა. საგულისხმოა ისიც, რომ წესდება არ არეგულირებს ხმათა რა უმრავლესობაა საჭირო წევრისთვის სტატუსის შესაწყვეტად. „მწვანეების“ შინაგანაწესის მე-2 მუხლის 2.6 პუნქტის თანახმად, წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკური კომიტეტი, თუმცა, არც შინაგანაწესი არეგულირებს, რა წესით ხდება ხსენებული გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც, განმცხადებლები თ. კ.-თან დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ, ორი წევრის (ნ. გ.-ის და თ. კ.-ის) მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაძლოა, ნაკლები ლეგიტიმაციის მქონე იყოს. მოპასუხეს, უნდა ჩაენაცვლებინა გადამდგარი კომიტეტის წევრები სხვა კანდიდატებით შინაგანაწესის 9.3 დადგენილი წესების შესაბამისად; აღსანიშნავია ისიც, რომ კომიტეტის სხდომის ოქმებისგან განსხვავებით, გარიცხვის

⁴⁰ შენიშვნა: გენერალური მდივანი არის პოლიტიკური კომიტეტის წევრი ხმის უფლების გარეშე

წერილებში არ ფიქსირდება ხელმოწერა, თარიღი, ორგანიზაციის ბეჭედი, არ არის აღნიშნული პოლიტიკური კომიტეტის წევრთა ვინაობა.

სახალხო დამცველის შეფასებით, განმცხადებლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები, არ მიეღო თ. კ.-ს „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა და გადამდგარიყო კომიტეტის წევრის თანმდებობიდან მიუღებელი აღმოჩნდა ა(ა)იპ „მწვანეებისთვის“ გენერალური მდივნის - სოფიკო შუბითიძის და პოლიტიკური კომიტეტის წევრებისთვის - თ. კ.-სა და ნ. გ.-სათვის.

რაც შეეხება, (25 იანვარს) მედიისთვის მიცემული ინტერვიუების „მწვანეების“ ფეისბუქ გვერდზე გავრცელების საკითხს, სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო გენერალურ მდივანსა და დ. მ.-ს შორის არსებულ მიმოწერას (იხ. სქოლიო 11), რომლითაც სოფიო შუბითიძე პირდაპირ მოითხოვს დ. მ.-სგან, მხოლოდ კომიტეტის წევრების ინტერვიუები გააზიაროს. შესაბამისად, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს სოფო შუბითიძის განმარტებას, რომ მას არ მოუთხოვია, არ განეთავსებინა ს. ლ.-ის ინტერვიუ „მწვანეების“ ფეისბუქის გვერდზე; მხოლოდ კომიტეტის წევრების ინტერვიუების გამოქვეყნება თავისთავად გულისხმობს აღნიშნულს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მოპასუხის მხრიდან გამოყენებული იყო არაპროპორციულად მძიმე ზომა - ორგანიზაციის წევრის სტატუსის შეწყვეტა, რაც წარმოადგენს განმცხადებლების გაერთიანების უფლებაში ინტენსიურ ჩარევას, რომელსაც არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.

3. დასკვნა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ გაუმართლებელ განსხვავებულ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა განმცხადებლების მიმართ განსხვავებული შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდი, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები კი არ აღმოჩნდა საკმარისი წარმოშობილი დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გასაქარწყლებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეების“ გენერალურ მდივანს რეკომენდაციით:

- ქ. ჯ.-ეს, ს. ლ.-ს, ნ. ც.-ს და თ. ი.-ს, მათი თანხმობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აღუდგეთ ა(ა)იპ „მწვანეების“ წევრობის სტატუსი;
- მომავალში არ დაუშვას გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოს შიდაორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,